



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ენის დეპარტამენტი

სამაგისტრო პროგრამა:
ინგლისური ენა და ლიტერატურა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება:
ჰუმანიტარული

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში

პროგრამის მოცულობა:
120 ECTS კრედიტი (4 სემესტრი)

პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი მადონა მეგრელიშვილი;
სრული პროფესორი ირაკლი ცხვედიანი

საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: 4-46-60, 899267176
E-mail: mail@knia.ge; iraklitskhvediani@yahoo.com

ქუთაისი
2008

- **პროგრამის არსი**

სამაგისტრო პროგრამა ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს შიდადარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა.

- **პროგრამის მიზნები და ამოცანები**

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ღრმა ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის განვითარების თავისებურებათა შესახებ. პროგრამა მაგისტრს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.

- **მაგისტრის სწავლების მოსალოდნელი შედეგები და ზოგადი კომპეტენციები:**

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული საგნების შესწავლა განაპირობებს მაგისტრანტის ჩამოყალიბებას მაღალი კომპეტენციის მქონე ფილოლოგად, გერმანისტად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტად, რომელიც შეიძლება დასაქმდეს როგორც სასწავლო-პედაგოგიურ, ასევე სამეცნიერო სფეროში, იმუშაოს ჰუმანიტარული პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. გარდა ამისა, მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ექნება ზოგადი კომპეტენციები, რომელთა მეშვეობით იგი შეძლებს მოაწყოს თავისი კვლევის შედეგების პრეზენტაცია, იმუშაოს გამომცემლობებში, რედაქციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

➤ მაგისტრი უნდა ფლობდეს ღრმა ცოდნას შემდეგ თეორიულ საგნებში:: თანამედროვე ინგლისური როგორც გლობალური ენა, ინტერკულტურული/ტრანსკულტურული კომუნიკაცია და კომპეტენტური კომუნიკაციის სტრატეგიები, ზოგადად დისკურსის (დისკურსი კომუნიკაციის ფუნქციურ სფეროთა მიხედვით:, სამეცნიერო, მხატვრული საქმიანი) კვლევის და სწავლების თანამედროვე თეორიული პარადიგმები და ანალიზის მეთოდები.

➤ საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაგისტრს მოეთხოვება ინგლისური ენაზე კომპეტენტური კომუნიკაციის სპეციფიკური სპექტრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების მაღალი დონე, რაც შეესაბამება მოსმენილ შესატყვისი პრაქტიკული დანიშნულების კურსებს, სემინარებს და პრაქტიკულ მეცადინეობებს (იხ. ზემოთ) და მაგისტრების დასაქმების შესაბამის სავარაუდო სფეროებს (იხ. ზემოთ).

მაგისტრებს უნდა შეეძლოთ, კომუნიკაციის აღნიშნული სპეციფიკური სპექტრის პრაქტიკული უნარ-ჩვევების სისტემატური პრაქტიკული გამოყენება.

- მაგისტრებს, განსაკუთრებით მათ, რომელთაც დაასრულეს პროგრამის კვლევითი განყოფილება, უნდა შეეძლოთ მიღებული ცოდნის და კვლევის ათვისებული მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად განსაზღვრონ საკვლევო ამოცანები და ჩაატარონ დამოუკიდებელი კვლევა-ძიება, მიღებული შედეგების პრაქტიკული გამოყენების პერსპექტივით.
- მაგისტრს უნდა შეეძლოს სპეციალური ლიტერატურის, სხვადასხვა ფუნქციური სფეროს დისკურსის და სხვა ემპირიული მასალის კრიტიკული ანალიზი, თეორიული ბაზის და ემპირიული კვლევის შედეგების სინთეზი – ინტერპრეტაცია, წერილობით და ზეპირი პრეზენტაცია.

• **დასაქმება**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელება დოქტორანტურაში, პედაგოგიური მოღვაწეობა შესაბამისი პროფილით, ანალიტიკური საქმიანობა სამთავრობო დაწესებულებებსა და არასამთავრობო სექტორში.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	დისციპლინის დასახელება	სააუდიტორიო მუშაობა								საათების განაწილება კურსებისა და სემესტრების მიხედვით				შენიშვნა	
		გამოცდა	ს უ ლ	ლექცია	პრაქტიკული	კრედიტების რაოდენობა					I კურსი		II კურსი		
						I სემ.	II სემ.	III სემ.	IV სემ.	სულ	I სემ	II სემ	III სემ		IV
ძირითადი მოღვაწეობი															
1. ინგლისური ენის თეორია															
1.	დისკურსის ანალიზი	2	18	12	6		5		5		1,5				
2.	ლინგვისტური სემანტიკა	2	18	12	6		5		5		1,5				
3	ლინგვოსტილისტიკა	1	24	18	6	5			5	2					
4	კომუნიკაციური ლინგვისტიკა	3	36	24	12			5	5			3			
2. ინგლისური ლიტერატურა															
1.	ინგლისური რომანის ისტორიული პოეტიკა	1	36	24	12	5			5	3					
2.	ინგლისური დრამის ისტორიული პოეტიკა	2	30	24	6		5		5		2				
3	ინგლისური ლირიკის ისტორიული პოეტიკა	3	48	32	16			10				4			
4	დ/ე და ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის თეორია	1	24	18	6	5			5	2					
პროგრამისათვის															

სავალდებულო კურსები														
1.	ზეპირი და წერიტი მეტყველება	1,2,3	156		156	5	5	5		15	4	4	4	
2	დარგის ფილოსოფია	1,2	24	18	6	5				5	2			
3	საკურსო ნაშრომი						5							
4	სამაგისტრო ნაშრომი								30					
არჩევითი კურსები														
1.	სოციოლინგვისტიკა													
2.	ფსიქოლინგვისტიკა													
3.	ანგლო-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობანი													
4.	აკადემიური წერა													
5.	ინგლისური ლიტერატურა და თეატრი													
6.	მითოსი ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ ლიტერატურაში													
7.	შედარებით-ტიპოლოგიური ლიტმცოდნეობის საფუძვლები													
8.	სპეცკურსი მწერალზე													
10.	თარგმანის თეორია და პრაქტიკა													
11.	II უცხო ენა													
12.	განათლების ისტორია													
13.	განათლების ფსიქოლოგია													
14.	განათლების პედაგოგიური ტექნოლოგიები													
15.	საგანმანათლებლო სისტემები													
სულ:						35	35	30	30		15	11	12	

სასწავლო პრაქტიკა:

პრაქტიკის დასახელება	სემესტრი	კვირათა რაოდენობა	კრედიტი	შენიშვნა
პედაგოგიური პრაქტიკა უმაღლეს სკოლაში	III	4	5	

სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.